

STEM სკოლაში მისაღები გამოცდა - 2023 შემოდგომა

(მეშვიდე და მერვე კლასელებისთვის)

სწორი პასუხები მონიშნულია ყვითელი ფერით

1

ცნობილია, რომ ხუთნიშნა $67*57$ რიცხვი იყოფა 9-ზე რა ციფი შეიძლება ეწეროს *-ის ნაცვლად?

- a) ერთიანი
- b) ორიანი
- c) სამიანი
- d) ოთხიანი
- e) ხუთიანი

2

გიოს სთხოვეს დაენომრა სახლები 1-დან 200-მდე. რამდენჯერ მოუწევს მას ციფრი 7-იანის დაწერა?

- a) 48-ჯერ
- b) 46-ჯერ
- c) 44-ჯერ
- d) 42-ჯერ
- e) 40-ჯერ

3

დღეს კვირაა. რა დღე იქნება 90 დღის შემდეგ?

- a) ოთხშაბათი
- b) ხუთშაბათი
- c) პარასკევი
- d) შაბათი
- e) კვირა

4

იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა: $2006-2005+2004-2003+\dots+4-3+2-1$, თუ ჩანაწერში 1-დან 2006-ის ჩათვლით ყველა ნატურალური რიცხვი მონაწილეობს.

- a) 2016
- b) 2006
- c) 1005
- d) 1002
- e) 1003

5

რამდენი ნულით მთავრდება 1-დან 25-ის ჩათვლით ნატურალური რიცხვების ნამრავლი?

- a) ერთი
- b) ორი
- c) სამი
- d) ხუთი
- e) ექვსი

6

ავტობუსში 18 მგზავრი იყო. ყოველ გაჩერებაზე 4 მგზავრი ჩადიოდა და 6 ამოდიოდა, რამდენი მგზავრი იქნება ავტობუსში მეოთხე და მეხუთე გაჩერებას შორის?

- a) 20
- b) 23
- c) 25
- d) 26
- e) 30

7

მეცხვარემ თავისი ცხვრების ნახევარი ბიძაშვილს აჩუქა, დარჩენილის ნახევარი - მამიდაშვილს და კიდევ დარჩა 9 ცხვარი, რამდენი ცხვარი ყავდა მეცხვარეს თავიდან?

- a) 20
- b) 36
- c) 42
- d) 11
- e) 15

8

კვადრატის გვერდი 10-სმ-ია, მართკუთხედის ერთი გვერდი 3-ჯერ დიდია მეორეზე. რას უდრის მართკუთხედის გვერდები, თუ მისი პერიმეტრი კვადრატის პერიმეტრის ტოლია?

- a) 5 და 15
- b) 8 და 12
- c) 10 და 10
- d) 14 და 6
- e) 17 და 3

9

წიგნიდან ამოვარდა ფურცლები, რომლის პირველი გვერდის ნომერია 35, ხოლო უკანასკნელის - 74. სულ რამდენი გვერდი ამოვარდა წიგნიდან?

- a) 38
- b) 39
- c) 40
- d) 41
- e) 42

10

1კგ წაბლის თაფლი ღირს 20 ლარი, ხოლო 1კგ ცაცხვის თაფლი - 15 ლარი. შეურიეს 6კგ წაბლის და 4კგ ცაცხვის თაფლი, რა ეღირება მიღებული ნარევის 1კგ?

- a) 16 ლ
- b) 18 ლ
- c) 20 ლ
- d) 22 ლ
- e) 24 ლ

11

უმანგის აქვს 3 ჯინსის შარვალი და 3 მაისური, რამდენნაირად შეუძლია მას სამოსის შერჩევა?

- a) 15
- b) 12
- c) 9
- d) 6
- e) 3

12

მამა ორ შვილთან ერთად 45 წლისაა, უმცროსი შვილი 3 წლისაა, უფროსი - სკოლის მოსწავლეა. რამდენი იყო მათი ასაკთა ჯამი 5 წლის წინ?

- a) 35
- b) 34
- c) 33
- d) 32
- e) 31

13

3 სპილო 3 დღეში ჭამს 18 კედრო საკვებს. რამდენი სპილო შეჭამს 7 დღეში 28 კედრო საკვებს?

- a) 6
- b) 5
- c) 4
- d) 3
- e) 2

14

რამდენი ექვსნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის შემადგენელ ციფრთა ჯამია 2?

- a) 2
- b) 3
- c) 4
- d) 5
- e) 6

15

20 მეტრი სიღრმის ჭაში ლოკოკინაა ჩავარდნილი. მერამდენე დღეს ამოცოცდება ლოკოკინა ჭის თავთან, თუ ის ყოველდღე 6 მეტრს ამოდის და ღამით 4 მეტრით ისევ უკან სრიალდება?

- a) 4
- b) 6
- c) 8
- d) 9
- e) 10

16

ნიკა და გიო დგანან პირველ სართულზე. ნიკა ავიდა მეოთხე სართულზე, რომელ სართულზე უნდა ავიდეს გიო, რომ გაიაროს 2-ჯერ მეტი საფეხური (სართულებს შორის საფეხურების რაოდენობა ერთნაირია) ?

- a) მეხუთე
- b) მეექვსე
- c) მეშვიდე
- d) მერვე
- e) მეცხრე

17

მატარებლის ერთი ვაგონის სიგრძეა 13 მეტრი, ხოლო ვაგონებს შორის მანძილი - 0,5 მეტრი. იპოვეთ 13 ვაგონიანი მატარებლის სიგრძე.

- a) 165 მ
- b) 170 მ
- c) 175 მ
- d) 180 მ
- e) 185 მ

18

ერთმანეთის მიყოლებით ამოწერილია ნატურალური რიცხვები: 12345678910111213141516..... რომელი ციფრი დგას 222-ე ადგილზე?

- a) 0
- b) 3
- c) 2
- d) 5
- e) 4

19

დაადგინეთ, რამდენ გრადუსიან კუთხეს ქმნიან საათის ისრები ზუსტად 4 საათზე.

- a) 30 გრადუსი
- b) 60 გრადუსი
- c) 90 გრადუსი
- d) 120 გრადუსი
- e) 150 გრადუსი

20

დაფაზე ეწერა 6 მომდევნო ნატურალური რიცხვი, როცა ერთ-ერთი წაშალეს, დარჩენილი რიცხვების ჯამი აღმოჩნდა 47. რომელი რიცხვი წაუშლიათ?

- a) 9
- b) 10**
- c) 11
- d) 12
- e) 13

21

ფიზიკური სხეულების დაჯგუფებისას რკინისა და მინის სხეულები მოხვდა ერთ ჯგუფში. ჩამოთვლილთაგან რომლის მიხედვით შეიძლება მომხდარიყო ასეთი დაჯგუფება?

- a) აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით;**
- b) გამჭვირვალობის მიხედვით;
- c) თბოგამტარობის მიხედვით;
- d) ელექტროგამტარობის მიხედვით
- e) ჩამოთვლილთაგან არცერთი პასუხია სწორი

22

ჩამოთვლილთაგან რომელია შედარებით კარგი თბოგამტარი?

- a) პლასტმასი
- b) ხე
- c) სპილენძი**
- d) ქვა
- e) ბამბა

23

ცხელი წყალი ჩაასხეს ქვაბში და დაახურეს გამჭვირვალე სახურავი. მალე სახურავზე შიგნიდან გაჩნდა წყლის წვეთები. რომელმა პროცესმა (პროცესებმა) გამოიწვია წვეთების გაჩენა?

- a) დნობამ და კონდენსაციამ;
- b) მხოლოდ აორთქლებამ;
- c) აორთქლებამ და კონდენსაციამ;**
- d) მხოლოდ დნობამ;
- e) ჩამოთვლილთაგან არცერთი პასუხია სწორი.

24

ქვემოთ მოცემული საგნებიდან რომელს მიიზიდავს მაგნიტი ყველაზე ადვილად?

- a) 1 გ მასის მინის ბურთულას.
- b) 2 გ მასის ხის რგოლს.
- c) 3 გ მასის ალუმინის ლურსმანს.
- d) 4 გ მასის რკინის მონეტას
- e) 5 გ მასის ქვის ნატეხს

25

ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან (ნივთიერებათა ნარევიდან), რომელი ატარებს დენს უკეთესად?

- a) მინა
- b) სპილენძი
- c) ჰაერი ნორმალურ პირობებში
- d) პოლიეთილენი
- e) არცერთი ჩამოთვლილთაგან

26

ჰიდროელექტროსადგურებში ელექტრული ენერგია მიიღება:

- a) სითბური ენერგიისგან
- b) ქარის ენერგიისგან
- c) მზის ენერგიისგან
- d) წყლის ენერგიისგან
- e) საკვების ენერგიისგან

27

რამდენი პოლუსი გვექნება თუ ზოლოვან მაგნიტს გავჭრით სამ ნაწილად?

- a) არცერთი პოლუსი აღარ დაგვრჩება
- b) ერთი სამხრეთ პოლუსი და ერთიც - ჩრდილოეთი
- c) ორი სამხრეთ პოლუსი და ორიც - ჩრდილოეთი
- d) სამი სამხრეთ პოლუსი და სამიც - ჩრდილოეთი
- e) ოთხი სამხრეთ პოლუსი და ოთხიც - ჩრდილოეთი



რომელი საერთო თვისება ახასიათებს სითხეებსა და მყარ სხეულებს?

- a) ინარჩუნებენ საკუთარ ფორმას
- b) ინარჩუნებენ მოცულობას, მაგრამ მყარი სხეული ვერ ინარჩუნებს ფორმას
- c) ინარჩუნებენ ფორმას მაგრამ ვერ ინარჩუნებენ მოცულობას
- d) ვერ ინარჩუნებენ ფორმას და ვერც მოცულობას
- e) ინარჩუნებენ მოცულობას

ფიზიკური მოვლენების დროს ნივთიერება უცვლელი რჩება, ქიმიურის დროს კი იცვლება და სხვა ნივთიერება წარმოიქმნება. ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენებიდან რომელია ქიმიური?

- a) სანთლის დნობა
- b) წყლის დუღილი
- c) რკინის გაფართოვება
- d) რკინის დნობა
- e) სანთლის წვა

რისი მაგალითია მიქცევა - მოქცევა?

- a) დედამიწის ბრუნვის გამო აღმართ - დაღმართი იცვლება და წყალი ხან ერთ მხარეს გადაედინება, ხან მეორე მხარეს;
- b) პლუტონის ძლიერი მიზიდულობა წყალს იმ მხარეს მიიზიდავს, საითაც ის არის, ამიტომ წყლის დონე პერიოდულად, სხვადასხვა ადგილზე იცვლება
- c) მთვარის გრავიტაციული მიზიდულობა დედამიწის წყლის გარსზე ისეთ ზეგავლენას ახდენს, რომ წყლის დონე პერიოდულად გარკვეულ ადგილებში იცვლება
- d) ნაკიანი წელიწადის დროს მთვარე უფრო მეტად იზიდავს დედამიწას, ამიტომ წყალიც მთვარის მხარეს მოექცევა
- e) ვულკანური პროცესების დროს წყალი ოკეანეების ფსკერიდან გამოიდევენება და პერიოდულად გარკვეულ ადგილებში წყლის დონე იმატებს.